საქართველოს მთავრობის

დადგენილება №374

2014 წლის 11 ივნისი

ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი რეესტრის მე-14 მუხლის:

1. „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ^{1}“ და „ნ^{2}“ ქვეპუნქტები:

„ნ^{1}) მინისტრის აპარატის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ნ^{2}) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 25 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**